მითი და რეალობა ხუდონჰესის მშენებლობის გარშემ

როგორც ცნობილია 90-იან წლებში ხუდონჰესის მშენებლობა სხვადასხვა მიზეზთა გამო შეჩერდა. იმ დროისათვის იქ სადაც მიწისქვეშა ელექტროსადგური უნდა აშენებულიყო, სამუშაოების დაახლოებით 60% შესრულებული იყო. ასევე მთლიანად დამუშავებული იქნა კაშხლის წინ მდებარე ფერდობები, გაყვანილ იქნა დროებითი ასაქცევი გვირაბი, რომელიც დღესაც მოქმედებაშია (თუმცა არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში) აშენებული იქნა დროებითი და დამხმარე ნაგებობები; ბეტონის და ინერტული მასალების ქარხნები, საკომპრესორო, ავტოპარკი, მუშათა სასადილო, საცხოვრებელი სახლები. დაწყებული და მიყვანილ იქნა კარკასულ მდგომარეობამდე მრავალსართულიანი მუშათა საცხოვრებელი კორპუსები. გადებული იქნა ციცხვარ-იდლიანის ასაქცევი რკინის ხიდი, გაკეთდა მისასვლელი გზები და დაბეტონდა კაშხლის მარცხენა ფერდი. დღეის მდგომარეობით ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტებიდან ნაწილი შენარჩუნებულია, სახლები თითქმის (გარდა მრავალსართულიანი კორპუსისა) აღარ არსებობს. წყალსაცავის ზონაში რაც დასანგრევი იყო (მარჯვენა მხარე) დანგრეულია, ანუ არავითარი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ შესრულებულა. დროებითი ნაგებობები (მოსახლეობის მიერ) გამოყენებულია სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებით (ზოგს სახერხი ქარხანა აქვს დამონტაჟებული, ზოგს საწყობი, ზოგსაც საცხოვრებელი და ა.შ.)

ადგილობრივი მოსახლეობა მთელი ამ წლების განმავლობაში გაურკვეველ მდგომარეობაში იმყო-



კადური ჰესების მშენებლობის მონაკვეთად. მართალია, თითქოსდა ძირითადი ვექტორი ხუდონჰესის ალტერნატივის შერჩევისკენაა მიმართული, მაგრამ იქვე საკმაოდ კომპეტენტურად აყალიბებენ აზრს იმის შესახებ, რომ სამი ან ოთხი ჰიდროელექტროსადგურის აშენება თავისუფლად შეიძლება. განვიხილოთ ორივე შემთხვევის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

პროექტიდან და მთავრობის მიდგომიდან აშკა-

ბებით იმუშავებს, ზოგჯერ საათობით იქნება სამგზავრო ტრანსპორტი გაჩერებული. ჯერ კიდევ შეუსწავლელი ტობარის და ჯორკვალის მიდამოებში არსებული კლდოვანი ფერდები მაღლივი კაშხლის ასაშენებლად რამდენად მყარი იქნება გაურკვეველია. აქედან გამომდინარე კაშხლის ძირში მოსახლეობის არსებობა საკმაოდ სარისკოა. ერთი სიტყვით თავს ნურავინ მოიტყუებს, მშენებლობის პერიოდში ისეთი ვიწრო ხეობა, როგორიც ციცხვარიდან ჯორკვალამდეა, სამშენებლო მოედნებადაც კი არასაკმარისია. თვით ცენტრალური საავტომობილო გზით სარგებლობაც კი შეუძლებელია. ამდენად მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების და მოხუცების იქ ცხოვრება ფაქტიურად შეუძლებელი იქნება. ამის ნათელი მაგალითია ენგურჰესის და ხუდონჰესის წინა პერიოდის მშენებლობები. საამშენებლო ინფრასტრუქტურა ვერ ეგუება საქალაქო ცხოვრების რიტმს. როცა მშენებლობის მთელი ინფრასტრუქტურა ამუშავდება იქ ეკოლოგიურად და მოძრაობის თვალსაზრისით ჯოჯოხეთი ტრიალებს. აქვე შევახსენებთ, რომ საბჭოთა პერიოდში, როცა ხუდონჰესი შენდებოდა, შეღავათი სწორედ ის ფაქტორი იყო, რომ ძირითადი სამშენებლო მოედნები ხაიშის დასახლების ქვემოთ მდებარეობდა. ასე რომ კაშხლის ზემოთ გადატანა ბევრს არაფერს ცვლის. თავს ვალდებულად ვთვლით, რომ მოსახელეობამ ეს ფაქტორები წინდაწინ იცოდეს.

სვანეთისთვის მეორე მტკივნეული საკითხი საავტომობილო გზის პრობლემაა. როგორც ავლ-